პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 ივნისი, კვირა, 1987 წ.
№ 115 (9526) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მიმდინარეობს მოცურავის საკავშირო კვირეული

ვეპატიჟებით ყველას

ვეპატიჟებით ყველას, ვისაც ცურვა უყვარს! მოცურავის საკავშირო კვირეულის დღეებში თბილისის საცურაო აუზები ასეთი მოწოდებით ხვდებიან საწყლოსნო სპორტულ ბაზებში მისულთ.



ასეთი კვირეულის გამართვა არდადეგებისა და შვებულებების სეზონის დასაწყისში უკვე ტრადიციად იქცა. იგი მიზნად ისახავს რაც შეიძლება მეტი ადამიანის ცურვით დაინტერესებას, მათთვის ცურვის სწავლებას.

საქართველოს მდინარეები, ტბები, ზღვა, მზე ანდამატივით იზიდავს წყლის მოყვარულებს, მაგრამ საიდუმლო არაა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ცურვის არმცოდნეთა რაოდენობა დიდია, ამიტომ განსაკუთრებული უურადღება დაეთმობა ცურვის მასობრივ შესწავლას ხელოვნურ წყალსაცავებზე, ტბებზე და ზღვის სანაპიროებზე.

ცურვა ყველამ უნდა იცოდეს!

ამიტომ მოცურავის საკავშირო კვირეულში მონაწილეობის მისაღებად ყველას ვეპატიუებით.

თუ ცურვა არ იცით, გამოცდილი ინსტრუქტორები გასწავლიან.

გვჯერა, ვინც „მოცურავის კვირეულში" ჩაებმება, იგი რეგულარულ ვარჯიშსაც დაიწყებს.

რა არის საჭირო „მოცურავის კვირეულში" მონაწილეობისათვის? — არაფერი, გარდა სურვილისა!

კვირეულის დღეებში გაიმართება მასობრივი შეჯიბრებები, საოჯახო სტარტები, წყალზე თამაშობანი, საჩვენებელი გამოსვლები...



საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ჭადრაკში

ზედიზედ—მეოთხე

ზედიზედ ოთხი გამარჯვება! ასეთი რამ მართლაც იშვიათად ხდება. ზურაბ სტურუამ საქართველოს 47-ე ჩემპიონატის VII ტურში ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. მან შავი ფიგურებით გია ბაღათუროვს სძლია და ახლა 5 ქულით, ლაშა ჯანჯღავასთან ერთად, ლიდერობს. ამ ტურში თეთრებს, რომ იტყვიან, შავი დღე დაადგათ — 3 პარტია წააგეს.

საინტერესო გამოდგა დავით ჩაჩიბაიასა და მიხეილ კრასენკოვის შეხვედრა. კრასენკოვმა პოზიციური უპირატესობა მიიღო, ისარგებლა იმით, რომ მეტოქეს ცენტრში დარჩა მეფე და დიდი ბრძოლის შემდეგ პაიკი მოიგო. ჩაჩიბაია ციტნოტში აღმოჩნდა. ენდშპილში კრასენკოვმა, რომელსაც ზედმეტი პაიკი ჰქონდა, ზუსტად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და გაიმარჯვა.

დიმიტრი გედევანიშვილისა და გია გიორგაძის პარტიაში შავებმა მცირე პოზიციური უპირატესობა მოიპოვეს ტარაშის დაცვაში. გედევანიშვილმა შავების იზოლირებულ პაიკზე გააძლიერა დაწოლა, მაგრამ გიორგაძემ ლაზიერის ფრთაზე გადაიტანა თამაში და მეტოქეს ბევრი პრობლემა შეუქმნა. გედევანიშვილმა ციტნოტში, როცა 14 სვლაზე 7 წუთი რჩებოდა, ლაზიერი დათმო ეტლსა და კუში, მაგრამ ვერაფერს გახდა და თავი დამარცხებულად ცნო.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: გაფრინდაშვილი-ხეცურიანი — 1:0, ტყებუჩავა-ჯანჯღავა — 0,5:0,5, მანაგაძე-ტაბატაძე — 0,5:0,5. ეფიმოვის ავადმყოფობის გამო მისი შეხვედრა შალამბერიძესთან გადატანილია.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ზურაბ სტურუა, ლაშა ჯანჯღავა (ორივე — თბილისი) — 5-5 ქულა, მიხეილ კრასენკოვი (ბათუმი) — 4,5, გია გიორგაძე (თბილისი) — 4 (1), გოჩა ტყებუჩავა (ცხაკაია) — 4.

ვასილ ვაშაკიძე,
ოსტატობის კანდიდატი.

ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში

სსრ კავშირი—საბერძნეთი

დღეს კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი დასრულდება. საბჭოთა კავშირისა და საბერძნეთის გუნდების ფინალური შეხვედრის ტელერეპორტაჟი ათენიდან 24 საათზე დაიწყება.

მანამდე კი გაიმართა ორი ნახევარფინალური მატჩი, რომლებშიც საბჭოთა კალათბურთელებმა ესპანელებს აჯობეს — 113:96, საბერძნეთის ნაკრებმა კი იუგოსლავიის გუნდი დაამარცხა — 81:77. ბერძნების გამარჯვება და ფინალში გასვლა ამ ჩემპიონატის მთავარი სენსაციაა.

თბილისში შეხვედრამდე...

როგორც ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, ქალთა საკავშირო ჩემპიონატამდე (იგი ოქტომბერში თბილისში ჩატარდება) ოთხი ნახევარფინალური ტურნირი უნდა გაიმართოს. ახლახან გაირკვა, ვინ მიიღებს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას — თითოეულ ტურნირში 14 მოჭადრაკე ითამაშებს. ნახევარფინალურ ტურნირებში ჩვენი რესპუბლიკის ხუთი წარმომადგენელი გამოვა. ქეთევან კახიანი ხერსონში ითამაშებს (11-29 ივლისი), ნინო გურიელი და თამარ ხუგაშვილი — ბარნაულში (11-29 ივლისი), ქეთევან მელაშვილი — იაროსლავლში (17 ივლისი-4 აგვისტო), ციალა ქასოშვილი და ციური კობაიძე — ირკუტსკში (17 ივლისი-4 აგვისტო).

უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას ყოველი ტურნირიდან 3-3 გამარჯვებული მიიღებს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

ჯერ ხუთ წონაში

ვორონეჟში დაიწყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც ასზე მეტი ქალაქის 230-მდე ათლეტი ასპარეზობს. აქ არიან მოსკოვის ოლიმპიადის, მსოფლიოსა და ევროპის სხვადასხვა ჩემპიონატების პრიზიორები. ყველაზე მეტი მონაწილე რუსეთის ფედერაციამ წარმოადგინა — 82 მოჭიდავე.

მოულოდნელი შედეგები პირველსავე შეხვედრებში დაფიქსირდა. მაგალითად, 57 კგ წონით კატეგორიაში ნაკლებად ცნობილმა კიეველმა მიხეილ ჩერნოვმა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი, მახაჩყალელი ოსან ეფენდიევი დაამარცხა. მოულოდნელი შედეგით დამთავრდა აგრეთვე იუნიორთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ეგია მუსოიანის ორთაბრძოლა მინსკელ კამალუტდინ აბდულდაუდოვთან. გამარჯვება ამ შეხვედრაში მინსკელ მოჭიდავეს ხვდა.

შარშანდელი ოქროს მედალოსნებიდან ტურნირში არ მონაწილეობს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ტაშკენტელი არსენ ფადაევი. ამ ცოტა ხნის წინათ მან ევროპის ჩემპიონატშიც გაიმარჯვა და მწვრთნელებმა მასთან ერთად არანაკლებ ტიტულოვანი კიეველი მოჭიდავე ს. ბელოგლაზოვიც დაასვენეს.

დამაჯერებლად მიიწევენ ფინალებისკენ შარშანდელი ჩემპიონები: ვ. გოგოლევი (იაკუტსკი), რ. კარაევი (მახაჩკალა), ვ. მოდოსიანი (კრასნოიარსკი). ოქროს მედლის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლება თბილისელი ლ. ხაბელოვიც (100 კგ), რომელმაც ყველა წინასწარი შეხვედრა მოიგო. მეორე ფავორიტი, შარშანდელი ჩემპიონი ა. ხადარცევი (ტაშკენტი) მძიმე წონაში გამოდის.

გუშინ გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები 48, 57, 68, 82 და 100 კგ წონით კატეგორიებში.



მედლები—რიყეზე

როგორც უკვე ვიუწყებოდით, თბილისში, რიყის ტერიტორიაზე დაიწყო საერთაშორისო შეჯიბრება ავტოსამოდელო სპორტში, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მოდელისტები. გათამაშდა მოდელების პირველი კომპლექტიც: რცბ (თავისუფალი კონსტრუქციის რადიოსამართავი ელექტროძრავიანი მოდელები) კლასში ყველაზე უკეთესი დრო — 24,23 წამი აჩვენა საბჭოთა კავშირის ნაკრების დებიუტანტმა, ვილნიუსელმა რიმას მიხნიავიჩუსმა, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა. სასიხარულოა, რომ მეორე და მესამე ადგილები თბილისელმა სპორტსმენებმა, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა პაატა შარიპაშვილმა (24,46 წმ) და ანდრეი გალუსტიანმა(25,46) დაიკავეს.



სურათზე: რადისამართავი მოდელები სტარტზე (მარჯვნივ) და დისტანციაზე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის

1. ქართველ სპორტსმენთა გალერეა ილიასეულ პრესაში

რევოლუციამდელ საქართველოში ოცდაათამდე ისეთი გაზეთი და ჟურნალი გამოდიოდა, რომლებშიც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საკითხებს ეთმობა ადგილი. მათ შორის სპორტისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ გაზეთები „დროება“ და „ივერია“; ეს არ იყო შემთხვევითი. როგორც ცნობილია, გაზეთ „დროებას“, ილია ჭავჭავაძის გარდა, სხვა რედაქტორებიც ჰყავდა, მაგრამ გაზეთს ილიასეული იდეური მიმართულებისთვის არ უღალატია. „ივერია“ კი ბოლომდე ილიას ხელმძღვანელობით გამოდიოდა. გავიხსენოთ ილიას მხატვრული ქმნილებების გმირები: გიორგი, „ოთარაანთ ქვრივიდან“, შესანიშნავი მოჭიდავეა, შესანიშნავად ცურავს „გლახის ნაამბობის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი — მღვდელი, „აკა ყაჩაღი ბრწყინვალე მსროლელია. მკითხველი ალტაცებაში მოჰყავს ილიას ისტორიული გმირის გოსტა-შაბიშვილის მაღალ სპორტულ და სამხედრო ხელოვნებას და ა.შ. ბუნებრივია, გაზეთებში, რომლებსაც სპორტის, ვაჟკაცური შემართებისა და ფიზიკური სრულყოფის მოტრფიალე პიროვნება რედაქტორობდა, შეძლებისდაგვარად სრულად აისახა მაშინდელი საქართველოს სპორტული ცხოვრება.

დღეიდან გაზეთი „ლელო“ თავის მკითხველებს პერიოდულად მიაწვდის „დროებასა“ და „ივერიაში“ გამოქვეყნებული ცალკეული ქართველი სპორტსმენისა თუ სპორტული კოლექტივების მხატვრულ პორტრეტებს.

მასალა მოამზადა ისტორიკოსმა ავთანდილ ცაბაძემ.

დათა გუგუნავა

„იტყვიან ხოლმე, და მართლაც რომ მისმა სიმარდემ ზღაპრული ხასიათი მიიღო, საარაკოდ გახდა. ერთად დაყენებულ რამდენიმე ცხენზე ხელ-უხლებლად გადახტომა, ძველებური დარბაისლური ცხენოსნობა, მარდად ჯირითის სროლა, იარაღის ხმარება — ხომ მის ხელთ იყო და არა მარტო სიყმაწვილეში, არამედ მოხუცებულობის დროსაც ყმაწვილების იდეალს შეადგენდა ყოველს ამ გვარს ვარჯიშობაში....

ეხლა, როცა ვისმეზე ლაპარაკობენ, თავ-და-პირველად იმას ჰკითხულობენ, თუ რა თანამდებობის კაცია, ან რამდენი ჯამაგირი აქვსო: პატივი ნივთიერ შეძლებას მოსდევს. მართალია, სიმდიდრეს მნიშვნელობა მუდამ ჰქონია, მაგრამ უწინ პირადნი ღირსებანი მაინც მაღლა იდგნენ: მამაცობა, ვაჟკაცობა, რაინდული მოქმედება, თოფიარაღის ხმარება, ჯირითი, მკვირცხლი ბურთაობა, კარგი სიმღერა-გალობა, ხელ-ფეხის სიმარდე ფასდაუდებელ თვისებათ შეადგენდნენ რაინდულს დროში. თვითეული ამ ღირსებათაგანი გამოსადეგი და სასარგებლო იყო.

ქართველი კაცის ლხინს მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მტერთან ხანგრძლივის ბრძოლისა და ოჯახის მოშორების შემდეგ, ქართველი მრთელის თვისის არსებით მიეცემოდა ლხინს, ამაში ჰპოვებდა, სხვათა შორის მოსვენებას, შვებას, აქ მოიკრებდა ძალას, ღონეს, გააცხოველებდა ბუნებას, გააღვიძებდა გრძნობათ, აღამაღლებდა საუკეთესო თვისებებს: ჩვენი ძველებური ლხინი ნამდვილი პოეზია იყო. სიმღერა, გალობა, ზმის ტყორცნა, ლექსი, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, მარილიანი ხუმრობა, თარი, ჩონგური, დაირა — ლხინის აუცილებელ კუთვნილებას შეადგენდნენ. ლხინს მოსდევდა სამხედრო ვარჯიშობა, მიზანში სროლა, ყაბანი, ჯირითი, ბურთაობა და ცხენის თამაში... აწინდელ ქართველს ლხინის სურვილი ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია, მაგრამ ის ჩვეულებანი კი დავიწყებია, რომლებიც ლხინს აშშვენებდნენ, ამკობდნენ და აკეთილშობილებდნენ. არ ვიცი რის გამო, მწუხარებისა თუ მხიარულებისა, მაგრამ ღვინოა დღეს ლხინის ავან-ჩავანი და მთვრალობა მისი წესი: ღვინით იწყება ლხინი და ჩხუბით მთავრდება. უგრძნობლად დათრობა შეადგენს აწინდელის ლხინის ღირსებას...

ყველა ამის შემხედვარეს უნებლიედ და მწუხარებით აგონდება ისინი, ვინც ძველებურს, კეთილშობილურ განცხრომას თვალ-წინ უსახავდნენ, ვინც ესთეტიურის სიამოვნებით ამშვენებდნენ ჩვენებურს სუფრას და რაინდულს ვარჯიშობით აკეთილშობილებდნენ ჩვენებურს თამაშს. თავადი დათა გუგუნავა* სწორედ ერთი იმათგანი იყო; იგი იყო ჩვენი ძველის ცხოვრების უკანასკნელი წარმომადგენელთაგანი“.

„დროება“ 1885 წ., № 197, 13 IX ვლ. მიქელაძის სტატია „დათა გუგუნავა“.

*** დათა გუგუნავა იყო „თამარიანის“ გამლექსავის სიმონ გუგუნავას მამა.**

არასწორად დაგეგმილი შეჯიბრება და... კვლავ ბევრი არეულობა

შავი ზღვისპირა კურორტ მწვანე კონცხზე დამთავრდა საქართველოს პირველობის ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორის. ტურნირში 54 გოგონა და 62 ბიჭი მონაწილეობდა (შეჯიბრება ჩატარდა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად). უნდა ითქვას, რომ მონაწილეთა რაოდენობა თავიდანვე განსაზღვრული იყო და არავითარი დარღვევა არ მომხდარა. სამაგიეროდ, ტურნირის მსვლელობის დროს ბევრი პრობლემა წამოიჭრა.

დავიწყოთ იმით, რომ აჭარის სპორტის მესვეურებმა დღემდე ვერ შეძლეს ჭადრაკის 100 კომპლექტისა და 50 საათის შეძენა, რათა შეჯიბრებაზე ჩამოსულმა მოჭადრაკეებმა საკუთარი დაფები არ ჩამოიტანონ, თუმცა, თურმე მთელს ავტონომიურ რესპუბლიკაში და მის დედაქალაქში დღემდე ნორმალური საჭადრაკო კლუბი არ არის. სხვათა შორის, ამის შესახებ ამ ცოტა ხნის წინ დაიბეჭდა წერილი „ლელოს“ ფურცლებზე. სამწუხაროდ, იგივე მდგომარეობაა აფხაზეთში, ახალციხეში, ხაშურში, ბევრ რაიონულ ცენტრში. ამიტომაც არის, რომ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდები ძირითადად თბილისისა და ქუთაისის საჭადრაკო სკოლების აღსაზრდელთაგან კომპლექტდება. ახლაც ასე იყო: შეჯიბრებაში რვა ქუთაისელი და შვიდი თბილისელი მოზარდი ჩაება. ტურნირის ბოლოს კი გაირკვა, რომ პირველ ხუთეულში (როგორც ბიჭებში, ისე გოგონებში) თბილისელმა მოჭადრაკეებმა მხოლოდ თითო ადგილი „დაუთმეს“ სოხუმელ არტემ ტაბარიანს და წულუკიძელ ინგა ხურცილავას. საერთოდ, გეოგრაფიული პრინციპით შეჯიბრებების ჩატარება ყოველთვის არ ამართლებს. ზოგჯერ ძლიერი კონკურენციის გამო თბილისისა და ქუთაისის ნიჭიერი მოჭადრაკეები ვერ ხვდებიან ამა თუ იმ ტურნირის მონაწილეთა განსაზღვრულ რაოდენობაში და ეთიშებიან პირველობისთვის ბრძოლას. ამ დროს კი რაიონებიდან ჩამოდიან მეოთხე და მესამე თანრიგოსანი ბავშვები, რომელთაც ეს ტურნირები მხოლოდ გამოცდილების შესაძენად თუ გამოადგებათ.

მოსწავლეთა შეჯიბრებებს საქართველოს განათლების სამინისტრო გეგმავს. წელს უმცროსი ასაკის მოჭადრაკეთა ნახევარფინალური ტურნირი გამოცდების დაემთხვა. ამასთან, გამოცდებიდან მოსწავლეთა განთავისუფლება კატეგორიულად აიკრძალა. შეჯიბრებას ჩაშლა ემუქრებოდა. საქართველოს განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი სულიკო მეგრელიშვილი იძულებული იყო ტურნირი სამი დღით წინ გადაეწია. თანაც ბავშვები ერთ დღეს ორ ტურს თამაშობდნენ, ესე იგი, 8 საათს ატარებდნენ ჭადრაკის დაფასთან (ერთსაათიანი შესვენებით). განა შეიძლება 11-12 წლის ბავშვების ასე დატვირთვა? გარდა ამისა, რა თქმა უნდა, პარტიების ხარისხიც დაქვეითდა და უამრავი უხეში შეცდომის მოწმეც გავხდით. ცხრა დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ ნორჩი მოჭადრაკეები შინ დაბრუნდნენ და მეორე დილითვე სკოლაში გამოცდაზე გავიდნენ; განა არ შეიძლებოდა თავიდანვე სწორად დაგვეგეგმა მოსწავლეთა შეჯიბრებები, რომ მოზარდები ასე არ გადაგვეტვირთა?!

ახლა გაგაცნობთ შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს. ბიჭებში 7,5 ქულით პირველი იყო კობა ჩაჩანაშვილი (მწვრთნელი გ. ხომერიკი), II ადგილი დაიკავა სოხუმელმა ტაბარიანმა (გ. ბარამიძე); III ადგილი წილად ხვდა ბექა ჯავრიცხელიას (რ. - თურქესტანიშვილი) — 6,5-6,5 ქულა.

გოგონებში გამარჯვება ხვდა ინგა ხურცილავას (მ. თხელიძე), რომელმაც 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა. მეორე იყო მაია გრიგალაშვილი (ო. თურქესტანიშვილი) — 7 ქულა, III ადგილი კი 6,5 ქულით ნინო ღლონტმა (გ. ხომერიკი) დაიკავა.

დასახელებულთა გარდა ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა კიდევ 11 ბიჭმა და 9 გოგონამ. შეჯიბრება 9-24 სექტემბერს ჩატარდება მწვანე კონცხზე.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოჩნდა ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე და ახალგაზრდა მწვრთნელთა მთელი თაობა. მაგალითად, მახარაძეში ნაყოფიერად მუშაობს ოსტატი მზია წერეთელი, სოხუმში—ნ. გელენავა, ჩოხატაურში — ა. ბერძენიშვილი, ცხაკაიაში — დ. ჩაჩიბაია და გ. ტყებუჩავა, ქუთაისში — კ. ფახორავა, ბ. ხეცურიანი, თბილისში — გ. მაჭარაშვილი, გ. გრძელიშვილი, გ. ალიხანაშვილი და სხვანი, რომელთა აღსაზრდელები უთუოდ იტყვიან თავიანთ სიტყვას. საინტერესოა, რომ მწვრთნელთა უმრავლესობას საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აქვს დამთავრებული. ეს იმას ნიშნავს, რომ უმაღლესში ჭადრაკის სპეციალიზაციის შემოღებამ იმედი გაამართლა. მაშ რატომ მოხდა, რომ ბოლო ორი-სამი წელიწადია ინსტიტუტში მოჭადრაკეთა მიღება მინიმუმამდე შემცირდა? თუმცა, ეს უკვე სულ სხვა პრობლემაა და ამის შესახებ ცალკე საუბარია საჭირო.

გიორგი ხომერიკი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სპორტული სკოლის მწვრთნელი.

მოკლედ

აბაშა

აქ გაიმართა მაგიდის ჩოგბურთელ მოსწავლეთა სარაიონო პირველობა. საშუალო სკოლებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს ქალაქის № 1 საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე შესაბამისად ზანათისა და პირველი მაისის საშუალო სკოლების მოსწავლეები გავიდნენ.

რვაწლიან სკოლებში საპრიზო ადგილები დაიკავეს: ეწერის, გუზათის და ნოღოხაშის სკოლების ნაკრებმა გუნდებმა.

იორამ ნიკოლეიშვილი.

ზაფხული-87

თუ სხვათა ნაკლიც არ გავითვალისწინეთ

დადგა საზაფხულო არდადეგები. მოსწავლეთა ერთი ნაწილი ზაფხულის თვეებს სოფლად გაატარებს, ზოგიც პიონერთა თუ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებს მიაშურებს. როგორ მოემზადნენ ბანაკები მოზარდების მისაღებად, რა გაკეთდა ახალი საზაფხულო სეზონისთვის? — ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად ვესაუბრეთ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგეს თემურ მგელაძეს.

● რამდენი ბავშვი დაისვენებს წლეულს თქვენი პროფკავშირების სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში?

— შარშან სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები გავხსენით 15 რაიონში, სადაც 4194 ბავშვმა დაისვენა. სამწუხაროდ, წელს ბანაკებისა და, აქედან გამომდინარე, დამსვენებელთა რაოდენობა ვერ გაიზრდება. პირიქით, ბანაკების რაოდენობა თითქმის განახევრდა. მიზეზი ისაა, რომ წლეულს სტიქიის შემოტევამ ბევრი ბაზა დააზიანა.

● სად გაიხსნება სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები და ვისი აღსაზრდელები დაისვენებენ იქ?

— თბილისის განათლების სამმართველოს ჭადრაკის სპორტსკოლის აღსაზრდელებს გორის რაიონის სოფელი ატენი ელოდება. ამავე სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპორტსკოლის მოსწავლეები ახალციხეში დაისვენებენ, თბილისის ფეხბურთის 35-ე ექსპერიმენტული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის აღსაზრდელები — კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჯაგაში, საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლისა და ადგილობრივი სპორტსკოლის მოზარდები— თიანეთში, ყაზბეგის რაიონის სოფელ გველეთის მიდამოებში ალპინიზმის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტსკოლის აღსაზრდელები სველი პირობებში იცხოვრებენ, „ბურევესტნიკის“ ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სპორტსკოლის მოსწავლეები ,,ტყიბულსა და გალის რაიონის სოფელ საბერიოს მიაშურებენ.

● მზად ხვდება თუ არა საზაფხულო არდადეგებს თქვენი ბანაკების სპორტული მოედნები, დარბაზები?...

— ჩვენ ბანაკებისთვის შევარჩიეთ ის რაიონები, რომლებსაც კარგი სპორტული სარბიელი აქვთ. სხვაგვარად არც შეიძლებოდა — ეს ბანაკები ხომ სპორტულ-გამაჯანსაღებელია და ბავშვები იქ არა მხოლოდ დასასვენებლად, არამედ სავარჯიშოდაც მიდიან.

● მოზარდთა ჯანმრთელობის გაკაუება ყველა ტიპის ბანაკების უმთავრესი საზრუნავია, ამ საქმეს კარგი ორგანიზატორი და სპეციალისტი სჭირდება. ჩატარდა თუ არა სპეციალური სემინარები ბანაკების ფიზკულტურული ხელმძღვანელებისთვის?

— რაკი ეს ბანაკები სპორტულ-გამაჯანსაღებელია, ბუნებრივია, ბავშვებთან მათივე მწვრთნელები იმუშავებენ. ისინი თავიანთი საქმის სპეციალისტები არიან და ატესტაციაც გავლილი აქვთ. ეს არის, რომ სასწავლო-საწვრთნელ ციკლს, უბრალოდ, სხვა პირობებში გააგრძელებენ. რაც შეეხება ბანაკების ხელმძღვანელთა მომზადებას, მათ სპეციალური სემინარები საქართველოს პროფსაბჭოში გაიარეს.

● გარდაქმნის პროცესი, ცხადია, პიონერული ბანაკების მუშაობასაც ეხება. როგორ აისახება ეს პროცესი თქვენს ბანაკებში?

— შარშანდელმა შემოწმებამ ბანაკების მუშაობაში ბევრი ხარვეზი გამოავლინა, რაც „ლელოს“ ფურცლებზეც აისახა, მაგრამ გაკრიტიკებულთა შორის არც ერთი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი არ მოხვედრილა. მიუხედავად ამისა, იმ ნაკლოვანებებმა ჩვენი ბანაკების ხელმძღვანელებიც უნდა დააფიქროს. თუ ერთმანეთის ნაკლი არ გავითვალისწინეთ, გარდაქმნა, ალბათ, შეუძლებელი იქნება.

საუბარი ჩაიწერა
ავთანდილ ჭუკიშვილმა.

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში ყოველ წელიწადს იხსნება საქალაქო პიონერული ბანაკი „მხიარული დელფინი“. წელს აქ 120-მდე ბავშვი დაისვენებს. მათ საინტერესო ცხოვრება ელით. ბანაკში ჩატარდება სპარტაკიადა, გაიმართება კონცერტები, შეხვედრები, ექსკურსიები და, რაც მთავარია, ნორჩები ცურვას შეისწავლიან. ისინი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ცურვის საკავშირო კვირეულში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

დღეს ფინალია

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი)

დღეს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონზე შედგება სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 46-ე გათამაშების ფინალური მატჩი, საპატიო პრიზისთვის ერთმანეთს შეხვდებიან მინსკისა და კიევის დინამოელთა კოლექტივები.

კიევის „დინამო“ საბჭოთა ფეხბურთის ბოლო წლების აღიარებული ლიდერია და, შეიძლება ითქვას, დღევანდელი ფინალური მატჩის ფავორიტადაც გვევლინება. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მისი ბოლო პერიოდის შედეგებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა არც მინსკელ ფეხბურთელებს აქვთ ნაკლები შანსი მოიპოვონ თასი, ვინაიდან ისინი საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩებს ძალზე ძლიერად ატარებენ. კერძოდ, მინსკელებმა სტუმრად დაამარცხეს ხარკოვის „მეტალისტი“ (1:0), მოსკოვის „ტორპედო“ (1:0), მანამდე კი სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასზე შინ ანგარიშით 3:0 მოუგეს ლენინგრადის „ზენიტს“. ე. ი. მინსკის „დინამო“ ახლა კარგ საბრძოლო ფორმაშია, კიეველებმა კი ჯერჯერობით ვერ შეძლეს თავიანთი საბრძოლო თვისებების სრულად აღდგენა.

კიევის „დინამო“ სსრ კავშირის თასის ფინალში მეცხრედ მონაწილეობს და 7-ჯერ მოიპოვა პრიზი, რაც შეეხება მინსკის „დინამოს“, ეს გუნდი სულ მეორედ გამოდის თასის ფინალში.

საინტერესოა, რომ დღევანდელ ფინალისტთაგან კიევის დინამოელები, გაიმარჯვებენ თუ არა, როგორც სსრ კავშირს 1986 წლის ჩემპიონები, წლეულს სექტემბერში მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჩემპიონთა თასზე, ხოლო მინსკელები დამარცხების შემთხვევაშიც გამოვლენ თასების მფლობელთა თასზე, ამის უფლებას მათ ფინალისტის რანგი ანიჭებს.

სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩის ტრანსლაცია ცენტრალური ტელევიზიის I პროგრამით 20 საათზე დაიწყება თბილისის დროით.

◉ **სსრ კავშირის** თასის წინა 45 ფინალურ მატჩში სულ 15 ქალაქის 20 გუნდმა მიიღო მონაწილეობა, პრიზის მფლობელი 8 ქალაქის 12 გუნდი გახდა. ცნობილი მოსკოველი მწვრთნელის ვ. მასლოვის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა გუნდი 9-ჯერ გავიდა ფინალში და 6-ჯერ მოიპოვა პრიზი. კიეველთა მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი 4-ჯერ ხელმძღვანელობდა კიევის „დინამოს“ ფინალებში და ოთხივეჯერ მოიპოვა თასი.

◉ **ჩვენში** სულ 405 ფეხბურთელია, რომლებიც თასის მფლობელად ითვლებიან. პრიზის 5-გზის მფლობელები არიან ა. სოკოლოვი, რომელიც მოსკოვის „ლოკომოტივსა“ და „სპარტაკში“ თამაშობდა, აგრეთვე, ვ. სოკოლოვი, რომელიც მოსკოვის „სპარტაკში“ გამოდიოდა. თასის 4-გზის მფლობელია კიევის დინამოელი ო. ბლოხინი.

◉ **წარსულში** ცნობილი ფორვარდი ს. სალნიკოვი (ამჟერ ფლობდა თასს და სამჯერ სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში: „ზენიტი“ (ლენინგრადი), „დინამო“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (მოსკოვი).

◉ **სსრ** კავშირის თასის ფინალურ მატჩებში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს მოსკოვის სპარტაკელმა გ. ჰუსაინოვმა და კიევის დინამოელმა ო. ბლოხინმა —4-4. ერთ ფინალურ მატჩში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა მოსკოვის დინამოელმა მ. სემიჩასტნიმ —3.

რევაზ კოპაძე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

50

მთავაზობთ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XIII ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

„სპარტაკი“ — „ზენიტი“ 1:3 (1:1). გოლები: ჩერენკოვი („სპარტაკი“), დანილოვი, ს. კუზნეცოვი („ზენიტი“), ბ. კუზნეცოვი („სპარტაკი“, საკუთარ კარში).
დუბლიორები — 7:2.

„ტორპედო“ — „ჟალგირისი“ 1:1 (0:0). გოლები: ი. სავიჩევი („ტორპედო“), ნარბეკოვასი („ჟალგირისი“, 11-მეტრიანით).
გააფრთხილეს ტორპედოელი შაფეკო, აგრეთვე, ვილნიუსელები ბურატიევი და ბარანაუსკასი.
დუბლიორები — 2:2.

„არარატი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 2:0 (0:0). გოლები: ქოჩარიანი — 2.
გააფრთხილეს „დინამოს“ ფეხბურთელები სილკინი და ლოსევი.
დუბლიორთა მატჩი არ ჩატარებულა.

„დინამო“ (კიევი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 1:1 (0:1). გოლები: ბოდოვსკიხი („ქაირათი“), კუზნეცოვი („დინამო“).
დუბლიორები — 2:2.

„მეტალისტი“ — „დინამო“ (მინსკი) 0:1 (0:0). გოლი: კონდრატიევი („დინამო“).
დუბლიორები — 0:2.

„ნეფთჩი“ — ცსკა 1:1 (0:1). გოლები: აფანასიევი (ცსკა), აბდულოვი („ნეფთჩი“).
გააფრთხილეს ბაქოელი აბდუალიევი და არმიელი კუზნეცოვი.
დუბლიორები — 1:1.

◉ **მიმდინარე** საიუბილეო გათამაშებაში პირველი მარცხი იწვნია ლიდერმა — მოსკოვის „სპარტაკმა“. საინტერესოა ისიც, რომ ლენინგრადის „ზენიტთან“ მატჩში სპარტაკელები დაწინაურდნენ, მაგრამ „ზენიტმა“ მაინც გაიმარჯვა და ამ მოგებით ქულაც ჩაიბარა „გამარჯვებისადმი სწრაფვის“ ნიშანისთვის ბრძოლაში. სპარტაკელებმა ფ. ჩერენკოვმა უმაღლეს ლიგაში თავისი გამოსვლების ისტორიაში 95-ე ბურთი გაიტანა. კიეველებმა 5 გოლი და ფ. ჩერენკოვი ფედოტოვის სახელობის 100-ე კლუბში შევა.

◉ **უმაღლესი** ლიგის გუნდებთან დაწესებულ ფრეთა ლიმიტს (10) უახლოვდებიან მოსკოველები „ტორპედო“ და დონეცკის „შახტიორი“. თითოეულ მათგანს 6-6 მატჩი აქვს ფრედ დამთავრებული. 5-5 მატჩი დაამთავრეს ფრედ მოსკოვის „სპარტაკმა“ და ლენინგრადის „ზენიტმა“.

◉ **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა სიაში წინ არიან ა. ნარბეკოვასი („ჟალგირისი“), ო. პროტასოვი („დნეპრი“) და ფ. ჩერენკოვი („სპარტაკი“). თითოეული მათგანის ანგარიშზეა 6-6 გატანილი ბურთი.

◉ **ვილნიუსის** „ჟალგირისის“ ფეხბურთელმა ს. ბარანაუსკასმა წლევანდელ სეზონში მეოთხე გაფრთხილება მიიღო.

◉ **თბილისის** „დინამო“ დღეს თავის მინდორზე ჩემპიონატის გადმოტანილ მატჩს ჩაატარებს მოსკოვის „დინამოსთან“. ამის შემდეგ უმაღლესი ლიგის ჩვენი გუნდები მოსკოვში გამართავენ მატჩებს: ლანჩხუთის „გურია“ 17 ივნისს შეხვდება ცსკა-ს, ხოლო თბილისის „დინამო“ 18 ივნისს — ადგილობრივ თანაკლუბელებს. 21 ივნისს დინამოელები ცსკა-ს შეხვდებიან, „გურია“ კი 22 ივნისს — „დინამოს“.

◉ **კვლავ** და კვლავ გვიხდება ლაპარაკი საკავშირო ჩემპიონატის მატჩების არაკვალიფიციური, სუსტი მსაჯობის თაობაზე. ერთი თვითაა დისკვალიფიცირებული ერევნელი არბიტრი პ. ბალიანი, რომელმაც სერიოზული შეცდომებით ჩაატარა მოსკოვის „ტორპედოსა“ და მინსკის „დინამოს“ მატჩი. არაკვალიფიციურად იმსაჯა მოსკოვის „ტორპედოსა“ და ვილნიუსის „ჟალგირისის“ შეხვედრა ოდესელმა მსაჯმა ვ. ლისენკომ. მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმი განიხილავს ლენინგრადელი ტ. ბეზუბიაკის მსაჯობის საკითხს, მან შეცდომებით ჩაატარა მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ლვოვის ასკ „კარპატის“ შეხვედრა (I ლიგა).

გათამაშების ცხრილი

დუგლიოართა შემადგენლობანი

მდგომარეობა 14 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	13	10	0	3	37-14	20
„დნეპრი“	13	7	3	3	22-11	17
„შახტიორი“	12	5	6	1	12-6	16
„ჟალგირისი“	12	4	8	0	12-7	16
„დინამო“ კ.	10	6	2	2	23-12	14
„დინამო“ მნ.	13	5	4	4	19-13	14
„ქაირათი“	13	5	4	4	20-19	14
ცსკა	13	6	1	6	17-21	13
„ნეფთჩი“	12	4	5	3	10-18	13
„ზენიტი“	13	4	4	5	19-26	12
„გურია“	12	4	2	6	10-16	10
„დინამო“ თბ.	12	3	3	6	16-21	9
„მეტალისტი“	13	3	3	7	10-18	9
„ტორპედო“	13	1	7	5	6-11	9
„დინამო“ მ.	10	2	2	6	6-11	6
„არარატი“	12	1	2	9	13-27	4

ემზადებიან საკავშირო შეჯიბრებისთვის

შარშან შემოდგომით დაიწყო და ახლახან დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკური შეჯიბრება „სიჭაბუკის“ თასზე. გათამაშების მონაწილე 54 გუნდი 9 ზონად იყო დაყოფილი, მეტოქეები თამაშობდნენ ორ წრედ —შინ და სტუმრად. ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ზონებში გამარჯვებულებმა, აგრეთვე, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და თბილისის გუნდებმა.

„სიჭაბუკის“ თასის წლევანდელი პირველობა მოეწყო ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა.

თასის ფინალური ეტაპი ჩატარდა გამოთიშვითი სისტემით, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და რუსთავის გუნდები. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა (მწვრთნელები ა. ვაშაკიძე, ს. აპრესიანი), რუსთაველთა კოლექტივს ხელმძღვანელობდნენ კ. ნაზაროვი და ი. კენკიშვილი. ტურნირში გამარჯვებული გუნდი ძირითადად დაკომპლექტებული იყო თბილისის „დინამოს“ ოლიმპიური რეზერვების სკოლის ბაზაზე.

შეჯიბრებაში დაკავებული ადგილების გათვალისწინებით ჭაბუკთა II რესპუბლიკურ თამაშებში თბილისის ნაკრებს დაერიცხა 144 ქულა, რუსთაველებს — 120 ქულა, მესამე და მეოთხე ადგილებზე გასული გეგეჭკორისა და ქუთაისის გუნდებს — 90-90 ქულა. შესაბამისი ქულები დაერიცხათ ფინალში მონაწილე სხვა გუნდებსაც.

დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, რომელიც უკვე შეუდგა მზადებას საკავშირო პირველობის ნახევარფინალისთვის, ეს შეჯიბრება კი კაუნასში გაიმართება 6-16 ივლისს. ამ ნახევარფინალურ ჯგუფში იასპარეზებენ ლენინგრადის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდავეთის, ტაჯიკეთისა და ლიტვის გუნდები.

ვლადიმერ ნასარიძე,
რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს რეზერვების მომზადების განყოფილების გამგე.

* * *

სურათზე: „სიჭაბუკის“ თასის მფლობელი თბილისის ნაკრები (მარცხნიდან მარჯვნივ): პირველ რიგში — გ. ხოსროშვილი, კ. კვანტალიანი, დ. ურუშაძე, რ. თიგიშვილი, ბ. ამაშუკელი, ვ. გეგეშიძე; მეორე რიგში — მწვრთნელი ს. აპრესიანი, ვ. შოშიაშვილი, ვ. მაისურაძე, გ. ჯანგირაშვილი, რ. ნაჭყებია, რ. წივწივაძე, ე. ელიკაშვილი, მწვრთნელი ა. ვაშაკიძე; მესამე რიგში — მ. დაბრუნდაშვილი, გ. ტუხაშვილი, გ. ნემსაძე, დ. ჯანელიძე, გ. თავბერიძე, ხ. გვაზავა, მ. გაჩეჩილაძე, ა. გელაძე, მ. მურმანიშვილი.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

ცვლილებები, ცვლილებები...

მადრიდს „რეალის“ ფეხბურთელმა ხუანიტომ ერთწლიანი ხელშეკრულება დადო მეორე დივიზიონის „მალაგასთან“. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხუანიტო მადრიდის „რეალის“ ბავშვთა გუნდების მწვრთნელი გახდება.

„ბორდოსა“ და საფრანგეთის ნაკრების მცველი პატრიკ ბატისტონი ოთხი წლის განმავლობაში „მონაკოს“ ღირსებას დაიცავს.

სევილიის „ბეტისში“ მოთამაშე ორივე უცხოელი ფეხბურთელი ეთხოვება გუნდს და საფრანგეთში გადადის: არგენტინელი გაბრიელ უმბერტო კალდერონი — „პარი სენ ჟერმენში“ ითამაშებს, იუგოსლავიელი ფარუკ ჰაჯიბეგიჩი — „სოშოში“.



საფრანგეთი

თასის ფინალში 10 ივნისს ერთმანეთს შეხვდებიან „ბორდო“ და „მარსელი“. ნახევარფინალში „ბორდომ“ შინ ფრედ (0:0) ითამაშა „ალესთან“ (პირველი მატჩი 2:2) და მხოლოდ სტუმრად გატანილი გოლების მეშვეობით აჯობა მეორე დივიზიონის ამ წარმომადგენელს. „მარსელმა“ მეორე შეხვედრაშიც დაამარცხა „რეიმსი“ — 5:1.

ჩემპიონატის ბოლო ტურის შედეგები: „მონაკო“ — „მარსელი“ 2:0, „მეცი“ — „ბორდო“ 2:1, „ტულონი“—„ნიცა“ 2:0, „ლილი“ — „ნანტი“ 0:1, „რასინგი“ — „რენი“ 2:1, „სენტ ეტიენი“ — „სოშო“ 1:1, „ბრესტი“ — „ლე ავრი“ 2:0, „ოსერი“ — „ნანსი“ 4:2, „ლავალი“ — „პარი სენ ჟერმენი“ 4:3, „ტულუზა“ — „ლანი“ 1:0.

სექტემბრიდან „ბორდო“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ისპარეზებს, „მარსელი“—თასების თასზე, ხოლო „ტულუზა“ და „ოსერი“ — უეფა-ს თასზე. პირველი დივიზიონი დატოვეს „რენმა“ და „ნანსიმ“, ხოლო „სოშო“ გადასასვლელ მატჩში მეორე დივიზიონის „კანს“ შეხვდება.

„ბორდო“	38	57:27	53
„მარსელი“	38	52:33	49
„ტულუზა“	38	54:30	48
„ოსერი“	38	45:32	47

ესპანეთი

„ბარსელონამ“ დაამარცხა „ესპანიოლი“ — 2:1. გამარჯვებულთაგან ორივე გოლი არჩიბალდმა გაიტანა. მადრიდის „რეალმა“ სტუმრად სძლია „მალიორკას“ — 4:0 (ბუტრაგენიო, მარტინ ვასკესი, გორდილიო, სანჩისი). ფრედ (2:2) დამთავრდა შეხვედრა სარაგოსის „რეალსა“ და ხიხონის „სპორტინგს“ შორის.

„რეალი“ (მადრიდი)	42	19:34	63
„ბარსელონა“	42	60:26	61

შედგა თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები. ფრედ (0:0) დამთავრდა ბასკეთის გუნდებს— სან სებასტიანის „რეალის“ და ბილბაოს „ატლეტიკის“ შეხვედრა, ხოლო მადრიდის „რეალმა“ დაამარცხა მადრიდის „ატლეტიკო“ — 3:2. ანგარიში უგო სანჩესმა გახსნა. მეორე ტაიმში ბუტრაგენიომ და ისევ უგო სანჩესმა აიღეს „ატლეტიკოს“ კარი, მაგრამ შეხვედრის მიწურულს კიკემ და მარინამ ორი საპასუხო ბურთი გაიტანეს.

გფრ

მიუნხენის „ბაიერნმა“ ფრედ (2:2) დაამთავრა შეხვედრა იურდინგენის „ბაიერთან“ და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. სხვა შეხვედრები: „ნიურნბერგი“ — „ჰამბურგი“ 3:3, „კაიზერსლაუტერნი“ — „კოლონი“ 5:1, „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) — „ფორტუნა“ 4:1, „ვერდერი“ — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 5:0, „ბოხუმი“ — „შალკე 04“ 1:1, „აინტრახტი“ (ფრანკფურტი) — „შტუტგარტი“ 3:1, „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — „ჰომბურგი“ 4:2.

„ბაიერნი“	32	63:30	49
„ჰამბურგი“	32	63:36	43

ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა“ დამატებით დროში დაამარცხა „დენ ჰაგი“ (4:2) და ჰოლანდიის თასი მოიპოვა. ორი გოლი გაიტანა მარკო ვან ბასტენმა.

სსრ კავშირის თასის გათამაშება რეგბიში

„მშენებელი“—ნახევარფინალში

12 ივნისს ქუთაისის „მშენებელი“ ვანში საკავშირო თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში ეთამაშა თასის მრავალგზის ფლობელს მოსკოვის „სლავას“ რეგბისტებს. მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ მატჩი მაღალ დონეზე გამართულიყო. ორივე ტაიმის განმავლობაში ანგარიშგაწეულ წვიმდა. ხელით თამაშს აზრი არ ჰქონდა და მეტოქეები მეტწილად ფეხით თამაშობდნენ. ასეთ დროს გადამწყვეტი „სტაყვა“ მორკინალებს ეკუთვნით. ამ ორი კლუბის თავდამსხმელების მრავალწლიანი ორთაბრძოლა ამჯერად ქუთაისელთა გამარჯვებით დამთავრდა. ისინი თამაშის ყველა კომპონენტში სჯობნიდნენ მეტოქეებს და ორივე ტაიმში თვალსაჩინო უპირატესობას ფლობდნენ.

ანგარიში მატჩის დაწყებისთანავე გაიხსნა. პირველივე შერკინების დროს სტუმრები დაჯარიმდნენ და ძაგნიძემ 35 მეტრიდან დარტყმული ბურთი ძელებს შორის გაატარა — 3:0. მე-16 წუთზე ისევ ძაგნიძემ ისახელა თავი. „მშენებლის“ მორიგი შეტევის დროს მოსკოველებმა წამით უყურადღებოდ დატოვეს ქუთაისელთა გარე ნახევარმცველი და მან საკმაოდ რთული მდგომარეობიდან არეკნით ზუსტად დაარტყა კარში. მეორე ტაიმში მეტოქეებმა მხოლოდ თითო საჯარიმოს გამოყენება შეძლეს (ძაგნიძე, ბოლონკინი). მატჩი დასრულდა ქუთაისელთა გამარჯვებით ანგარიშით 9:3.

ქუთაისელთა გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოვიდა სათამაშოდ: ჟორჟოლიანი, გაბრიჩიძე, ხარშილაძე, ლიპარტელიანი, ხამაშურიძე, ძაგნიძე, ლოსაბერიძე, თხელიძე, ფხაკაძე (ნემსიწვერიძე), შვანგირაძე, ოდიშარია, ნაჭყებია, ლილუაშვილი, ტურძელაძე, ობოლაძე.

საპ. კორ.



ბოლო ორი ტური

გასულ შაბათ-კვირას ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო ორი ტურის მატჩები. ამ შეხვედრათა ანბანრიშები თქვენ უკვე იცით. დღეს სრულ ტექნიკურ შედეგებს გაგაცნობთ.

6 ივნისი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ბათუმი 104:62 (54:33). მხაჯები: ე. კაპანაძე, ზ. დიდბარიძე, კომისარი — ლ. ფალავანდიშვილი.

ფიზკულტურის ინსტიტუტი: კობეშავიძე (23), ჩერქეზიშვილი (19), დადიანი (15), ლიპარტელიანი (14), ტომარაძე (13), მაისურაძე (10), დათიკაშვილი (10).

ბათუმი: დიხამიძე (23), ლოლიშვილი (22), ყენტი (9), დუმბაძე, (4), გედევანიშვილი (2), ხომერიკი (2).

7 ივნისი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ბათუმი 95:72 (46:38). მხაჯები: ზ. დიდბარიძე, გ. მოლოდინაშვილი, კომისარი — გ. ხვანიძე.

ფიზკულტურის ინსტიტუტი: ტომარაძე (20), ლიპარტელიანი (18), ჩერქეზიშვილი (17), დადიანი (13), კობეშავიძე (11), მაისურაძე (11), ჩაჩანიძე (5).

ბათუმი: დიხამიძე (24), ლოლიშვილი (21), ყენტი (17), ხომერიკი (4), ზაქარიაძე (4), გედევანიშვილი (2).

პირველ შეხვედრაში არასპორტული საქციელისთვის მოედნიდან გააძევეს ბათუმელი კალათბურთელი მეტრეველი.

6 ივნისი. უნივერსიტეტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 79:91. მხაჯები: მ. ქურიძე, რ. გელოვანი, კომისარი — მ. ბაგრატიონი.

უნივერსიტეტი: ბოროდაჩოვი (27), ძიძავა (22), ლომიძე (11), ტალაბაძე (9), კობახიძე (6), ნათობიძე (4).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი: გიორგობიანი (32), ვაშაკიძე (22), გაბრიჩიძე (14), გოგელია (8), ცაგარეიშვილი (7), პეტრიაშვილი (6), ლიპარტელიანი (2).

7 ივნისი. უნივერსიტეტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 98:67 (46:28). მხაჯები: რ. ხომერიკი, რ. გელოვანი, კომისარი — მ. ბაგრატიონი.

უნივერსიტეტი: ბოროდაჩოვი (22), ტალაბაძე (20), ნათობიძე (15), ძიძავა (15), ლომიძე (8), ხუხაშვილი (4), დონაძე (4), დვალი (4), კვინიკაძე (3), ცაგარეიშვილი (3).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი: გიორგობიანი (27), ვაშაკიძე (10), ზ. ცაგარეიშვილი (9), გაბრიჩიძე (9), პეტრიაშვილი (8), ჯამარჯიშვილი (2), მ. ცაგარეიშვილი (2).

6 ივნისი. თელავი — ქუთაისი 85:93 (47:40) მხაჯები: თ. ხადღობელაშვილი, ა. ოტიაშვილი.

თელავი: უძილაური (37), დაღელიშვილი (20), ბ. ბოლქვაძე (11), ვარდიაშვილი (8), ტუხაშვილი (5), სულხანიშვილი (2), შ. ბოლქვაძე (2).

ქუთაისი: კორძაძე (33), ხუჯაძე (26), გოქსაძე (12), ბუაძე (6), ნაცვლიშვილი (6), ანდღულაძე (6), ლ. ვაშაკიძე (4).

7 ივნისი. თელავი — ქუთაისი 100:98 (57:44). მხაჯები: თ. ხადღობელაშვილი, ო. არჯევანიძე.

თელავი: ტუხაშვილი (42), დაღელიშვილი (24), უძილაური (20), ბოლქვაძე (10), ვარდოშვილი (4).

ქუთაისი: ლ. ვაშაკიძე (26), კორძაძე (24), ანდღულაძე (20), გუბელაძე (10), ხუჯაძე (10), ნაცვლიშვილი (8).

6 ივნისი. „მართვე“ (თბილისი) — „სინათლე“ (თბილისი) 73:88 (38:53). მხაჯები: რ. გოგელია, ა. როსტომაშვილი, კომისარი — ჯ. ხუხაშვილი.

„მართვე“: ღლონტი (19), ცხვედიანი (12), კ. ქართველიშვილი (11), ორმოცაძე (7), უსტიაშვილი (7), ტურაშვილი (7), რევაზიშვილი (4). გ. ქართველიშვილი (3), თორთლაძე (3).

„სინათლე“: სინჯარაძე (24), კ. ჩაჩხიანი (16), ჯორჯიკია (15), ძიძიგური (14), ქორქია (10), კრილი (6), საყვარელიძე (2), რ. ჩაჩხიანი (1).

7 ივნისი. „მართვე“ (თბილისი) — „სინათლე“ (თბილისი) 70:74 (28:36). მხაჯები: რ. გოგელია, ა. როსტომაშვილი, კომისარი — ლ. მოხეშვილი.

„მართვე“: ორმოცაძე (28), კ. ქართველიშვილი (15), ტურაშვილი (8), გ. ქართველიშვილი (6), რევაზიშვილი (5), უსტიაშვილი (3), ღლონტი (3), ახვლედიანი (2).

„სინათლე“: ჩაჩხიანი (19), ძიძიგური (16), ჯორჯიკია (15), ქორქია (12), სინჯარაძე (12).

6 ივნისი. გორი — რუსთავი 82:75 (37:37). მხაჯები: ი. მელაძე, გ. თავხელიძე.

გორი: სულხანიშვილი (30), სამხარაძე (18), ზამთარაძე (17), ჩხეტიანი (8), ინაური (8), რუსიშვილი (1).

რუსთავი: ჭანტურიძე (24), კეკენაძე (18), გაჩეჩილაძე (12), შეხოვცევი (11), ქობულაძე (10).

7 ივნისი. გორი — რუსთავი 64:96 (29:42). მხაჯები: ი. მელაძე, გ. თავხელიძე.

გორი: სამხარაძე (19), ზამთარაძე (16), რუსიშვილი (11), ინაური (10), სულხანიშვილი (6), ჩხეტიანი (2).

რუსთავი: ჭანტურიძე (33), ქობულაძე (18), გაჩეჩილაძე (17), კეკენაძე (17), შეხოვცევი (8), კიკვიძე (3).

9 ივნისი. ხოხუმი — „დინამო“ (თბილისი) 98:94 (51:43). მხაჯები: რ. გელოვანი, ზ. აბაშიძე.

ხოხუმი: ბაღათურია (45), სუშჩენკო (21), ჯგერენაია (13), ჭითავა (7), სულავა (5), ზანთარაია (4), პირველი (3).

„დინამო“: გეგეშიძე (37), ი. ბაქრაძე (19), ქორფაშვილი (17), დაუშვილი (7), მოველიძე (6), ცაგარეიშვილი (6), ქურდოვანიძე (2).

10 ივნისი. ხოხუმი — „დინამო“ (თბილისი) 106:94 (55:39). მხაჯები: რ. გელოვანი ზ. აბაშიძე.

ხოხუმი: სუშჩენკო (35), ბაღათურია (25), პირველი (16), ჯგერენაია (12), სულავა (10), ჭითავა (8).

„დინამო“: გეგეშიძე (37), ი. ბაქრაძე (19), ქორფაშვილი (17), დაუშვილი (7), მოველიძე (6), ცაგარეიშვილი (6), ქურდოვანიძე (2).

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

ეტაფი გრაფიდან

საერთაშორისო ასპარეზზე გრძელდება თანამედროვეობის ორი უძლიერესი ჩოგბურთელი ქალის მარტინა ნავრატილოვასა და კრის ევერტონ-ლოიდის მძაფრი მეტოქეობა. თავდაპირველად უპირატესობა ევერტის მხარეზე იყო, შემდეგ შესაძლებლობები თითქოს გათანაბრდა, ბოლო წლებში კი მეტწილად ნავრატილოვა იგებს (თუმცა აპრილის მიწურულს ჰიუსტონში გამართული უკანასკნელი შეხვედრა ევერტის გამარჯვებით დამთავრდა). დღეისათვის ნავრატილოვას 71 შეხვედრაში მოპოვებული აქვს 37 გამარჯვება, ევერტს — 34.

თუმცა უფრო სწორი იქნებოდა გველაპარაკა არა თანამედროვეობის უძლიერესი ჩოგბურთელი ქალების წყვილზე, არამედ სამეულზე, რადგან ნავრატილოვასა და ევერტის ხანგრძლივ დაგაში თამამად ჩაერია 18 წლის შტეფი გრაფი. „მე და მარტინამ 30 წელს გადავიჯეთ“ — ნაღელიანად თქვა ამასწინათ პრეს-კონფერენციაზე კრის ევერტმა.

დღეს შტეფი გრაფი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჩოგბურთელია. იგი დაიბადა 1969 წლის 14 ივნისს ბრიულში (გფრ). მისი მამა, პეტერ გრაფი, ჩოგბურთის სკოლის ხელმძღვანელია. სწორედ მამამ დააწყებინა გოგონას ჩოგბურთის თამაში, როცა ის... 4 წლის იყო! გაუკეთა რაღაც პატარა ჩოგნის მსგავსი, მიაჭვია კორტებზე ყოფნას.

შტეფი 13 წლის იყო, როცა კომპიუტერული კლასიფიკაციის მიხედვით მსოფლიოს 214-ე ჩოგბურთელად ცნეს. ეს მოხდა 1982 წელს. 1983 წელს იგი ამავე კლასიფიკაციით 98-ე იყო, 1984 წელს კი — 22-ე. ამავე წელს მოიგო ჩოგბურთელთა საჩვენებელი ტურნირი ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე. 1985 წელს შტეფი უკვე მსოფლიოს მეექვსე ჩოგბურთელია. 1986 წლის განმავლობაში გაიმარჯვა „ვირჯინია სლიმსის“ 8 (!) უძლიერეს ტურნირში და ნავრატილოვასა და ევერტ-ლოიდის შემდეგ მსოფლიოს მესამე ჩოგბურთელი გახდა.

შტეფი გრაფის წარმატებათა ეს სერია სენსაციური იყო. მაგრამ, მალე გაირკვა, რომ მთავარი მაინც წინ იყო. შტეფიმ და მისმა მწვრთნელმა, წარსულში კარგად ცნობილმა ჩეხოსლოვაკიელმა ჩოგბურთელმა პაველ სლოჟილმა, ბევრი იმუშავეს და 1987 წლის სპორტულ სეზონს შტეფი შესანიშნავად მომზადებული შეხვდა. ფლორიდის საერთაშორისო ტურნირში გრაფმა ფინალში საკმაოდ იოლად დაამარცხა (6:2, 6:3) ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ოსტატი ვერა სუკოვა. უფრო ძლიერმა მოდგენლობამ მოიკარა თავი კვიბის კუნძულზე (აშშ). ხახვარუნალში გრაფმა სასტიკი მარცხი აკვნა თანამედროვეობის № 1 ჩოგბურთელ ნავრატილოვას (6:3, 6:2), ფინალში კი ევერტ-ლოიდი დაამარცხა (6:1, 6:2). მალე გრაფი ზედიზედ მესამედ ჰილტონ ჰედ აილენდის (აშშ) საერთაშორისო ტურნირში გამოვიდა და აქ ფინალში ცნობილ ბულგარელ ჩოგბურთელს მანუელ მალეევას სძლია (6:2, 4:6, 6:3). როგორც ყოველთვის, მცოდნე ჟურნალისტები წერდნენ, ეს თურმე გრაფის წელს ჩატარებული მატჩებიდან მეორე ყოფილა, სადაც მან წააგო... სეტი! დიახ, მატჩის წაგებაზე აღარ არის ლაპარაკი — ასეთი მარცხი უკანასკნელად გრაფმა, როგორც ირკვევა, შარშან განიცადა, 23 ნოემბერს, ნავრატილოვასთან. გრაფის უკანასკნელი წლევანდელი ტურნირი ამერიკა-აილენდში (აშშ) ასევე მისი წარმატებით დამთავრდა. ფინალში მან გამოჩენილი ჩეხოსლოვაკიელი ოსტატი მანდლიკოვა დაამარცხა (6:3, 6:4).

აი, რა განაცხადა კრის ევერტ-ლოიდმა: „ამერიდან შტეფი გრაფს უძლიერესი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირებში ეტყობა ვერავინ აჯობებს“.

აპრილის ბოლო რიცხვებში გამოქვეყნებულ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელების უახლეს „რანგ ლისტში“ გრაფი უკვე მეორე იყო. მისი მწვრთნელის პაველ სლოჟილის აზრით, გრაფის თამაშში რაიმე არსებითი ნაკლის შემჩნევა ამჟამად შეუძლებელია — იგი ეტაპმარიტად უნივერსალური ჩოგბურთელია.

გივი თორელი.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

დოსაფი — საბჭოთა შეიარაღებული ძალების რეზერვი და დამხმარე.

მონაწილეობა მიიღეთ დოსაფის ლატარიაში!

დოსაფის ლატარიას ატარებს არმიის, ავიაციისა და ფლოტის დახმარების საკავშირო ნებაყოფლობითი-საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი.

გამოდის 80 მილიონი მანეთის 50-კაპიკიანი ბილეთები.

მოგებათა ტირაჟები ტარდება:

პირველი გამოშვებისა — 1987 წლის 4 ივლისს;

მეორე გამოშვებისა — 1987 წლის 19 დეკემბერს.

მოგებული ლატარიის ბილეთი გასანაღდებლად უნდა წარადგინოთ 1988 წლის 30 ივნისის ჩათვლით. უფრო გვიან ბილეთები არ განაღდდება.

დოსაფის ლატარიით მიღებული შემოსავალი ხმარდება სპორტული ნაგებობების მშენებლობას, კაპიტალური მშენებლობების გაფართოებას. მაგალითად, ამ ლატარიის შემოსავლით ჩვენს რუსთაველ ბულვარში აიგო დოსაფის ცენტრალური კომიტეტის შენობა, რუსთავის სპორტული კომპლექსი, წრიული გზატკეცილი.

ორ უახლოეს ტირაჟში საქართველოს მცხოვრებლები მიმდინარე წელს მოიგებენ: 32 ავტომობილს, 72 მოტოციკლს, 520 მაგნიტოფონს, 480 რადიომიმღებს, 392 ფოტოაპარატს, 40 ტელევიზორს, 440 სხვადასხვა მარკის საათს, 96 გასაბერ ნავს, 48 ხალიჩას და სხვა საქონელს. სულ გათვალისწინებულია 384 ათასი ფულადი და ერთ მილიონი მანეთის ნივთმოგება.

ლატარიის ბილეთები იყიდება დოსაფის პირველად ორგანიზაციებში.

საქართველოს სარეკლამო საგენტო.

ჰემინგუეი და კრივი

ჰემინგუეი დიდად იყო გატაცებული კრივით. იგი გატაცებით ვარჯიშობდა და სისტემატურად ესწრებოდა მატჩებს. ერთხელ მწერალი დაესწრო საფრანგეთის ჩემპიონ ქვესაუალო წონის ტრავესა და საუალო წონის ჩემპიონ, ფრენსის შარლის შეხვედრას. აწონვისას ჰემინგუეიმ ნახა, რომ შარლი გაცილებით მეტს იწონიდა მეტოქეზე. მიუხედავად ამისა, ტრავეს შენჯერმა დაიყენა მატჩი უნდა შედგესო. ცხადი იყო, რომ შეთანხმებულნი იყვნენ მენჯერები და მაფიის წევრები. მთელი ცხრა რაუნდი ტრავე ვაჟკაცურად უმკლავდებოდა მეტოქეს, მაგრამ მე-10 რაუნდში წონაში განსხვავებამ თავისი ქნა და შარლმა, ცხობილმა თავისი არაკეთილსინდისიერებით, კუთხეში მიიმწყვდია ტრავე და დაუწყო უმოწყალოდ ცემა. მაყურებელთათვის ნათელი იყო, რომ თუკი ბრძოლას არ შეწყვეტდნენ, ეს სავალალოდ დამთავრდებოდა ტრავესათვის. მსაჯი აინუნშიაც არ აგდებდა შექმნილ ვითარებას რინგზე, არც სეკუნდანტს მოსვლია ფიქრად პირსახოცის გადმოგდება. ხალხი აღშფოთდა, ატყდა საშინელი ღრიანცელი, ყიჟინა, მაშინ ჰემინგუეი ავარდა რინგზე და მუშტები დაუშინა შარლს. საჭირო გახდა ოთხი ზორბა პოლიციელის ჩარევა, რომ გააფთრებული მწერალი გაერიდებინათ შარლისათვის. მეორე დღეს მთელი პარიზი ლაპარაკობდა იმაზე, რომ მწერალმა ჰემინგუეიმ სიცოცხლე შეუნარჩუნა ტრავეს.

ერთხელ ჰემინგუეი კრივის მატჩზე შეხვდა ჟურნალ „ბულვარდიეს“ რედაქტორს ჯედ კეილს, რომელსაც თან ახლდა ორი ამერიკელი ქალიშვილი. ეს მატჩიც ძალზე არასწორად წარიმართა. კეილმა საკადრისი სიტყვებით მიმართა სეკუნდანტს, რომელმაც პირსახოცი სთხლიშა სახეში. კეილი გაიწია მისკენ. მაშინ მას ხელი ჩასჭიდა ორმა მოკრივემ და რედაქტორი მიხვდა, რომ მისი საქმე ახლა ცუდად იყო. ამ დროს იქ აღმოჩნდა ჰემინგუეი, რომელსაც გაბრაზების დროს რატომღაც ღიმილი სჩვეოდა. მან ხელი მოხვია ორთავე მოკრივეს, ბალღებივით მოისროლა აქეთ-იქით და კეილი სამშვიდობოს გაიყვანა. ჟურნალის რედაქტორს, რომელიც სპორტულ ამბებსაც აშუქებდა, ჰემინგუეი ახსოვდა მეტად უნარიან მოყვარულ მოკრივედ, ვისაც მომავალში ჩემპიონობას უქადდნენ მძიმე წონაში. ამიტომაც შეეკითხა მას:

— თქვენ კვლავ აპირებთ ჩემპიონობას?

— დიახ, — მიუგო ჰემინგუეიმ, ოღონდ კრივში არა.

— მაშ ჭიდაობაში?

— არა, ლიტერატურაში! — ამჯერად გულითადი ღიმილით მიუგო მომავალმა დიდმა მწერალმა.

ედიშერ გიორგაძე.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 14 ივნისი. დილის დაჭურვა — **8.00 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.15 (1);** სსრკ კავშირის ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში — **14.45 (2);** სსრკ კავშირს თასის ფინალი ფეხბურთში: „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი) — **19.00 (1);** ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. ფინალი: სსრკ კავშირი — საბერძნეთი — **24.00 (1).**

15 ივნისი. დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრკ კავშირის ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში— **13.15 (2);** ტელევიზიის თასი ბადმინტონში — **19.15 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **21.15 (2)** და **0.20 (1).**

საქართველოს ტელევიზია. 14 ივნისი. სპორტული ფილმების ფესტივალი — **12.35;** სსრკ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) — **20.00;** ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. ფინალი: სსრკ კავშირი — საბერძნეთი—**24.00.**

15 ივნისი. საფეხბურთო მიმოხილვა — **0.20.**

საქართველოს რადიო. 14 ივნისი. სსრკ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი)— **21.00.**

„სპორტპროგნოზი“ — 25-ე ტირაჟი (20-22 ივნისი)

პროგნოზი

სსრკ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
1. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ალმა-ათა) ქ. მოსკოვი	20.VI	50	30	20
2. „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) — ცსკა ვმფ ქ. თბილისი	20.VI	30	40	30
3. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (ლვოვი) ქ. მოსკოვი	21.VI	30	40	30
სსრკ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)				
4. „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	21.VI	30	60	10
5. ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „პამირი“ (დუშანბე)	21.VI	50	30	20
6. „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „კუზბასი“ (კემეროვო)	21.VI	30	50	20
7. „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	21.VI	30	40	30
სსრკ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
8. ცსკა — „დინამო“ (თბილისი)	21.VI	40	40	20
9. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ნეფტჩი“ (ბაქო)	22.VI	70	20	10
10. „შახტიორი“ (დონეცკი) — „არარატი“ (ერევანი)	22.VI	40	50	10
11. „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ტორპედო“ (მოსკოვი)	22.VI	20	60	20
12. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი)	22.VI	60	30	10
13. „ყალგირისი“ (ვილნიუსი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	22.VI	20	50	30

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06953